

15  
ძოთხრება დაბადებიდან.

## მწვე სოლომონ—გრაქანი.



შედგენლი და გამოცემული დეკ. დავით დამბაშიძისაგან.

ა. ქუთაისი.

Типография журнала «Мцкемен» (П. Д. Гамбашидзе).

1896





ძოთხრობა დახატებიდან.



# გეოგრაფიული სურათები — ბრძანები.

34610

შედგენილი და გამოცემული დეკ. დავით ლამბაშიძისაგან.

გამოცემა მეორე.



ქ. შუთაისი.

Типография журнала «Мцкепси» (П. Д. Гамбашидзе).

1896

*Печатать дозволяется. Тифлисъ, 25 Мая 1888 года.  
Цензоръ Архимандритъ Николай.*



## მეფე სოლომონ-ბრძენი.

წმიდა ადგილი, რომელიც დღესაც ყოველ წლოებით იზი-  
დავს მრავალ მლოცველებს, უწინდელს დროში დასახლებული  
იყო ებრაელებით. სამი ათასი წლის წინად ებრაელები ისე გა-  
ფანტული არ იყვნენ დედა-მიწის ზურგზედ, როგორც დღეს  
არიან; ისინი სცხოვრობდნენ ერთად და შეადგენდნენ ერთ ძლი-  
ერ სამეფოს. ებრაელები იმ დროში ღვთისაგან აღმორჩეულ  
ხალხად ითვლებოდნენ, რადგან მაშინდელ ხალხებ შორის მარ-  
ტო ებრაელები სცემდნენ თაყვანს ერთს ქემშირიტს ღმერთსა.

ებრაელების სამეფო იყო მშვენიერ მდგომარეობაში მაშინ,  
როცა მეფობდნენ ღვით ფსალმუნთ-მლალადებელი და მისი ძე  
სოლომონ-ბრძენი. ღვითი, რომელიც ახალ-გაზღობაში თავის  
მამის საქონელსა მწყსიდა, ღვთის ნებით იქმნა აღრჩეულ მე-  
ფედ და იმეფა ორმოცი წელიწადი. მან აღადგინა ებრაელების  
სამეფო, გააგანიერა მისი სამძღვრები და სატახტო ქალაქად  
ამოიორჩია იერუსალიმი. ღვით იყო მეფე, მაგრამ ამავე დროს  
ის შესანიშნავი იყო როგორც წინასწარ-მეტყველი და მგალობ-  
ბელი: მან დასწერა მრავალნი ქებითი და სამადლობელი საგა-  
ლობელნი, რომელნიც დღესაც იკითხებიან და იგალობებიან  
ჩვენს ეკკლესიებში ღვთის-მსახურების დროს.

ღვითის შემდეგ გამეფდა მისი საყვარელი შვილი სოლომო-  
ნი, რომელიც მაშინ იყო ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი. სოლომონი



აღვიდა ტახტზე მამის სურვილით, მაგრამ სოლომონის უმფროს ძმას აღონიას კი თავად სურდა ტახტი; იმან მრავალჯერ ააღევლა ხალხი სოლომონის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებულ იქმნა და მოკვდა.

როცა კარგად დამკვიდრდა ტახტზე, სოლომონი მაშინვე წავიდა ქალაქ ბაბაონში, სადაც იყო უმთავრესი სამსხვერპლო და შესწირა ღმერთს მსხვერპლი.

ღმერთი გამოეცხადა სოლომონს ძილში და უთხრა: «მთხოვე, რაცა გსურს და მე მოგცემ შენ». სოლომონმა მიუგო: «უფალო, შენ სწყალობდი მამა ჩემს ღვთის, რადგანაც ის ასრულებდა შენს ნებას; შენ მიეც მას ძე, რომელიც ეხლა შენ დაადგინე მეფედ. მაგრამ მე, შენმა მონამ, პატარა ჭაბუკმა, არ ვიცი, თუ როგორ ვმართო ჩემდამო რწმუნებული ხალხი. ამისათვის მომანიჭე მე, შენს მონას, გონიერება, რათა შევიძლო შენი ხალხის მმართვეა, რომ კარგი გავარჩიო ავისაგან და ვმართო შენი ერი, რომლის მეფედ დამადგინე მე, უფალო ღმერთო ჩემო». ღმერთმა უთხრა სოლომონს: «რადგანაც შენ არ მთხოვე მე არც ხანგრძლივი სიცოცხლე, არც დიდება და არც მტერთა ზედა გამარჯვება, არამედ მთხოვე მხოლოდ სიბრძნე და ცოდნა, რათა კანონიერად ვართავდე შენდამი რწმუნებულს ხალხსა, ამისათვის მე აღვისრულებ შენს თხოვნას: მე მოგანიჭებ შენ ისეთ სიბრძნეს და ცოდნას, რომ შენზე უბრძნესი არც ყოფილიყოს და არც შემდეგში იქმნეს. ამასთან მე მოგანიჭებ შენ იმასაც, რაც არ გითხოვია ჩემთვის, ე. ი., მოგანიჭებ ისეთ სიმდიდრეს და დიდებას, რომ ამაშიაც არ გეყოლოს ტოლი შენ სიცოცხლეში მეფეთა შორის; და თუ შენ ისე დაიმარხავ და აღასრულებ ჩემს მცნებათა, როგორც ინახავდა მამა შენი ღვითი, მაშინ მოგანიჭებ შენ გრძელ სიცოცხლესაც».

შამოიღვიძა თუ არა, სოლომონი დაბრუნდა იერუსალიმში და აღთქმის კიდობნის წინ შესწირა ღმერთს ახალი მსხვერპლი და დაიწყო მეფობა ისრაელსა ზედა.



ღმერთმა მიანიჭა სოლომონს დიდი სიბრძნე, ჭკუა და გონება. სოლომონის სახელი გაისმა ყოველ ხალხში; ის აღმო-საველეთის და ეგვიპტის ყველა ბრძნებზე უბრძნესად ითვლებოდა. მან გამოსთქვა სამი ათასი იგავნი და შეთხზა ხუთი ათასამდე საგალობელნი.

სოლომონთან მოდიოდნენ ყველა მეფეები და მრავალი ხალხი მისი სიბრძნის მოსასმენად და გასაგონად.

სოლომონმა მალე გამოიჩინა სიბრძნე. ერთხელ, როცა ის იჯდა ტახტზე და მაშინდელ დროს შესაფერად ასამართლებ-და ხალხს, მოვიდნენ მასთან ცუდი ყოფა-ქცევის დედა-კაცნი, და დადგენ მეფის წინაშე. ერთმა მათგანმა დაიწყო: «ხელმწიფევ, განგვარსამართლე ჩვენ. მე და ეს ქალი, რომელიც მე მომყვა, ვცხოვრობთ ერთ სახლში. მე ამას წინეთ მეყოლა შვილი და მესამე დღის შემდეგ ამასაც დაებადა. მარტო ჩვენ ვიყავით იმ სახლში და სხვა ვინმე გარეშე არ შემოდიოდა ჩვენთან. და ამ ამ ქალს ღამე მოუკვდა შვილი, თურმე ძილში ზედ დასწოლოდა და დაეხრჩო ბავშვი; იმ ღამესვე, როგორც კი გამოღვიძებოდა, მოსულიყო, აეყვანა ჩემი ცოცხალი შვილი და წაეყვანა, ხო-ლო მისი მკვდარი ბავშვი ჩემთვის ჩაეწვინა საწოლში. დილა-ზედ, როცა გამოვიღვიძე, მინდოდა ძუძუ მეწოვებია ჩემი ბავ-შვისათვის, მაგრამ დავინახე, რომ მკვდარი იყო! მე შევშინდი, მაგრამ, როდესაც დავაკვირდი მკვდარ ბავშვს, დავრწმუნდი, რომ იგი ჩემი შვილი არ იყო, არ იყო ის, რომელიც მე ვშობე». აქ მეორე ქალმა გააწყვეტინა პირველს სიტყვა და სთქვა: «არა, სტყუი, ჩემი შვილი ცოცხალია, შენი კი მკვდარი!» ამაზე პირ-ველმა უპასუხა: «არა, შენი შვილი მკვდარია და შენ ღამე შემო მიწვინე ისე მე ლოგინში, ჩემი შვილი კი ცოცხალია!» ასე დიდხანს იღავეს მათ მეფის წინაშე. სოლომონმა დააჩუმა ისინი და ბრძანა: «თქვენ ორივენი ერთსა და იგივეს ლაპარაკობთ; მე კი ჩემებურათ ვაგასამართლებთ. მოსამსახურენო, მომიტა-ნეთ მახვილი!» მოსამსახურეებმა მოართვეს მახვილი. სოლო-მონმა უბრძანა: «აიღეთ და ეს ცოცხალი ბავში გასჩეხეთ



შუაზედ; ნახევარი ერთს ქალს მიეცით და ნახევარი მეორეს». მაშინ ერთმა იმ ქალთაგანმა თქვა: «კარგია, თანახმა ვარ მეფევ, ეს ბავშვი ნურც მე მერგება და ნურც მაგას, გასჩხებთ!»! მეორე ქალს, რომელიც ბავშვის ნამდვილი დედა იყო, გული აუღულდა და სთქვა: «არა! ბატონო, არა! ნუმოკლავთ ბავშს, უმჯობესია ცოცხალი მისცეთ მაგ ქალს!»! აქ ცხადათ გამოაშკარავდა, თუ რომელი იყო ამ ორ ქალში ნამდვილი დედა ცოცხალი ბავშვისა. მაშინ მეფემ უბრძანა ხალხს: «აი ეს არის ბავშვის ნამდვილი დედა!.. მიეცით მას ცოცხალი ბავშვი. როცა ებრაელებმა გაიგეს, თუ რა ბრძნულად გაარჩია ეს საძნელო საქმე მეფემ, ყველას შიში ჰქონდა სოლომონისა, რომელშიაც მათ იხილეს ღვთის სიბრძნე.

სოლომონის გამეფების დროს, იერუსალიმში არ იყო ღვთის ტაძარი. ამ დრომდის ხალხი სწირავდა ღმერთს მსხვერპლს მალლობ ადგილზე. ამისათვის ახალ-გაზდა სოლომონმა განიზრახა ტაძრის აღშენება. მან შვიდი წლის განმავლობაში აღაშენა მშვენიერი ტაძარი იერუსალიმში, ტირის მეფის ქირამის შემწეობით, რომელიც უგზავნიდა სოლომონს ლიბანის ნაძვს და სა. როს, ხეს. სოლომონის ტაძარს გარედგან შემოკრული ჰქონდა ნაძვის ხის ფიცრები, რომლებზედაც გამოქანდაკებულნი იყვნენ ქერაბიანი და სხვა-და-სხვა ნაირი ვარდები. შიგნით ტაძრის კედლები მოჭედილი იყო ოქროთი. ტაძრის სხვა-და-სხვა ნივთები სულ ოქროსაგან იყვნენ გაკეთებული.

როდესაც ტაძრის შენება მთლად გაათავეს, სოლომონმა მოიხმო ისრაელთაგან უხუცესნი, მხედართ-მთავარნი და ხალხის მთავარნი. ღღესასწაულზედ მეფესთან მოვიდნენ ყველა ისრაელნი. მოვიდნენ მღვდელნი, აიღეს ალთქმის კიდობანი, ტალავარი და ყველა საღმრთო ნივთები, რომელნიც იყვნენ ამ ტალავარში და წაიღეს ყველა ესეები ახალ ტაძრისაკენ მეფე და ყველა შეკრებილი ხალხი მიუძლოდენ კიდობანს და სწირავდნენ ღმერთს მსხვერპლს. მღვდლებმა შეიტანეს კიდობანი ტაძრის წმიდა წმიდათაში და დასდვეს ქერუვიმების ფრთების ქვეშ. კიდობანში



იღვა ქვის ორი ფიცარი, რომლებზედაც იყო დაწერილი ათი მცნება. ეს სჯულის ფიცრები თითონ ღმერთმა მისცა მოსეს ქორების მთაზე. როდესაც მღვდლები გამოვიდნენ წმიდა წმიდათაგან და დაიწყეს ღვთის ქება და დიდება და როდესაც ტაძარში დაუკრეს საკრავები, ტაძარი დაჰფარა ღრუბელმა, რის გამო მღვდლებმა ვერ შესძლეს ტაძარში გაჩერება და გარეთ გამოვიდნენ.

სოლომონი დადგა სამსხვერპლოსთან ხალხის წინ, დაიჩოქა, აღიპყრო ხელნი ცისადმი და სთქვა: «უფალო ღმერთო ისრაილისაო! არა არს ღმერთი გარეშე შენსა, ცათა შინა ზედა, ქვეყანასა ზედა ქვე, რომელი დაიციევ აღთქმასა და წყალობასა მონისა შენისასა, რომელი ვიდოდეს. წინაშე შენსა ყოვლითა გულითა თვისითა».

«**ნუ** თუ ქეშმარიტად ეგოს ღმერთი კაცთა თანა ქვეყანასა ზედა? და უკეთუ ცანი და ცანი ცათანი არა კმა არს შენდა, ვიდრემდე უფროს სახლი ესე, რომელი აღვაშენე სახელისა შენისა იყოს საყოფელად შენდა. მოხედენ ვედრებასა ჩემსა, უფალო ღმერთო ისრაილისაო, სმენად ლოცვისა მონისა შენისა, რომელი დგას წინაშე შენსა, შენდამი დღეს:

**იყავნ** თვალნი შენნი მოხედვად ტაძარსა ამას ზედა დღე და ღამე.

**ისმინე** ხმა ვედრებისა მონისა შენისა და ერისა შენისა, ოდეს გევედრებოდენ შენ ტაძარსა ამას შინა.

**რაოდენიცა** უკეთუ შესცოდოს თვითეულმან მოყვასისა მიმართ თვისისა, და უკეთუმცა მიიღოს მას ზედა წყევლა და მოვიდეს და აღიაროს წინაშე პირსა საკურთხევლისა შენისასა, ტაძარსა ამას შინა, და შენ უსმინო ზეცით, და ჰყო დასჯიდდე ერსა შენსა, **ისრაელსა**: განსჯად უსჯულოსა, მიცემად გზისა მისისა თავსა ზედა მისსა, და განმართლებად მართალისა, და მიცემად მისსა სიმართლისამებრ მისისა.

**ოდეს** შთავარდეს ერი შენი, **ისრაელი**, წინაშე მტერთა, რამეთუ შეგცოდა შენ, და მოიქცეს შენდა, და აღუაროს სა-



ხელსა შენსა და გვედროს და იტყოდეს ვედრებასა შენდა ტაძარსა ამას შინა; და შენ უსმინო ზეცით, და მოწყალე ექმნე შეცოდებულთა ერთა შენდა ისრაელთა, და მოაქცინე იგინი ქვეყანასა შინა, რომელი მისცენ მამათა მათთა.

ოდეს შეიკრას ცა არა ყოფად წვიმისა. რამეთუ შეგცოდონ შენ, და გვედრონ ადგილსა ამას ზედა, და აღუარონ სახელსა შენსა, და ცოდვათა მათგან მოიქცენ, ოდეს დაამდაბლნე იგინი, და უსმინო ზეცით და მოწყალე ექმნე ცოდვათათვის მონისა შენისა და ერისა შენისა ისრაელისა: რამეთუ მიუთხრა მათ გზანი კეთილნი სვლად მათ შინა, და მიეც წვიმა ქვეყანასა ზედა, რომელნი მიეც ერთა შენთა სამკვიდრებელად.

უკეთუ სიყმილი იყოს, უკეთუ სიკვდილი იყოს რაჟამს იყოს მოწვა ანუ თუ მგრაგნელი, ანუ თუ მკალი. ანუ თუ გესლი, უკვე თუ იყოს და თუ აჭირვებდეს მას მტერნი მისნი, ერთსა შინა ქალაქთაგანსა მისსა, ყოველი წინააღდგომობა, ყოველივე საღმობა, და ყოველი წყლულებანი, ყოველი ვედრება, ყოველი ლოცვა უკეთუ იყოს ყოველისა კაცისა ერთაგან ისრაელისათა, რაჟამს სცნან თვითოეულმან საღმობა გულისა თვისისა, და აღიპყრნეს ხელნი თვისნი ტაძარსა ამას შინა და შენ უსმინო ზეცით განმზადებულისაგან საყოფელისა შენისა და მოწყალე ექმნე.

ოდეს განვიდეს ერი შენი ბრძოლად მტერთა ზედა თვისთა, გზასა რომელი მოავლინენ იგინი, და ილოცვიდენ სახელითა უფლისათა. გზითა ქალაქისათა, რომელი გამოირჩიე თავისა თვისისათვის, და ტაძრისა მიმართ, რომელი მე აღვაშენე სახელისა შენისათვის, და შენ ისმინო ზეცით ვედრებისა მათისა და ლოცვისა მათისა, და უქმნე მათ სამართალი.

რაჟამს შეგცოდონ შენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელმან არა გცოდოს შენ, და განრისხენ მათ ზედა, და მისცნე იგინი წინაშე მტერთა, და წარტყვევნიდნენ მათ წარმტყვენელნი ქვეყანასა შინა შორიელსა გინა მახლობელსა, და მოიქცენ გულნი თვისნი ქვეყანასა შინა მწირობისა მათისასა, და იტყო-



დენ: შეგცოდეთ, ვიუსჯულეთ, არა ვქმენით სიმართლეთ და მოიქცნენ შენდა ყოვლითა გულითა მათითა, და ყოვლითა სულითა მათითა, ქვეყანასა შინა მტერთა მათთასა, სადაცა შეიყვანეს იგინი, და გვედრნენ შენ გზასა ზედა ქვეყანისა მათისასა, რომელი მოეც მამათა მათთა, და ქალაქის მიმართ, რომელი გამოიღრჩიე, და ტაძარსა მიმართ, რომელი აღვაშენე სახელისა შენისათვის, და ისმინო ზეცით გამო, განმზადებულისაგან საყოფელისა შენისა ლოცვისა და ვედრებისა მათისა, და უყო განმართლება მათი და მოწყალე ექმნე უსამართლოებასა ზედა მათსა, რომლითაცა გცოდეს შენ, და ყოვლისათვის უარყოფისა მათისა, რომლითა უარ-გყვეს შენ, და მისცე მათ შეწყალება წინაშე წარმტყვენელთა მათთა, და შეიწყალნენ იგინი. რამეთუ ერნი შენნი და სამკვიდრებელი შენი არიან, რომელი გამოიყვანენ ქვეყანისაგან მგვიბტისა, შორის სადნობელისაგან რკინისა, და იყავნ ყური შენი, და თვალნი შენნი განხმულ ლოცვასა ზედა მონისა შენისასა, და ვედრებისა მიმართ ერისა შენისასა ისრაილისა, სმენად მათთა ყოვლისათვის, რომელთათვის გხადოდენ შენ».

ბათავა-რა ლოცვა და თხოვნა ღვთისადმი, სოლომონი ადგა და აკურთხა მთელი შეკრებილება ხალხისა შემდეგი სიტყვებით «იყავნ უფალი ლმერთი ჩვენი ჩვენთანა, ვითარცა იყო იგი მამათა ჩვენთა თანა, რათა არ დაგვიტეოს ჩვენ».

ამ დროს გადმოხდა ცეცხლი ზეციდგან და დასწვა ყოვლად დასაწველი მსხვერპლი. ჭველანი დაეცნენ პირქვე, და აღიდებდენ ლმერთსა. მეფე და ხალხი შეუდგნენ მსხვერპლის შეწირვას, და იყო იმ დღეს შეწირული მსხვერპლად ოცდა ორი ათასი ხარი, და ას ოცი ათასი ცხვარი. შვიდ დღეს მეფე და ხალხი დღესასწაულობდნენ და სწირავდნენ ლმერთს მსხვერპლს. ამ გვარად იქმნა კურთხეულ სახლი ღვთასა. შემდეგ ამისა სოლომონმა გაუშვა ხალხი, რომელიც ლოცავდა მას, და გახარებული მიდიოდა სახლში.

ტაძრის გარდა სოლომონმა აღაშენა თავისათვის მშვენიერი და მდიდრულად მორთული სასახლე.



როდესაც სოლომონმა გაათავა ტაძრის და სასახლის შენება, ღმერთი კვალად გამოეცხადა მას და უთხრა: «მე შევისმინე შენი ვედრება და აღვასრულე სუყველაფერი შენ ნებაზედ. მე ვაკურთხე ტაძარი, რომელიც შენ ალაშენე; თვალნი ჩემნი და გული ჩემი იქნება იქ მარადის. თუ შენ მოიქცევი ჩემ წინაშე წმინდის გულით და თუ დაიცავ ჩემ ბრძანებათა, შენი ტახტი იქმნება უკუნისამდე. უკეთუ შენ და შენი ხალხი არ ისმენთ ჩემსას, არ დაიმარხავთ ჩემ მცნებათა, და თაყვანს სცემთ სხვა ღმერთთა, მაშინ მე განვაგდებ ისრაელსა იმ ქვეყნიდგან, რომელიც მე მივეცი მას და ამ ტაძარსაც არ შევიწყნარებ».

სოლომონი მეფობდა მეფრატის წყლიდგან შილისტიმელთა მიწამდის და მევიბტის სამძღვრებამდის. მის ჰქონდა დაცული მშვიდობიანობა. ისრაელები სცხოვრობდნენ მის სიცოცხლეში მშვიდობით და ბედნიერად, რაისაგამო მათ ძლიერ უყვარდათ სოლომონი. სოლომონი გარდაიცვალა იერუსალიმში, მამამისის ღვითის ქალაქში, ორმოცი წლის მშვიდობიანად მეფობის შემდეგ.

სოლომონმა, რომელიც უხვად იყო დაჯილდოებულ დიდებით, სიბრძნით და სიმდიდრით, ბევრი რამ ნახა თავის სიცოცხლეში და გამოსცადა თვითონ. მან გამოიკვლია ყოველივე თავის ჭკუით და შეიტყო, თუ რა ხდება დედა მიწაზედ. მან წარმოთქვა, ხალხთა სამოდღვრებელად საში ათასი იგავნი და შეთხზა ხუთი ათასი საგალობელნი. მაგრამ ყველა არ შენახულა მის შთამამავლობაში.

---

### ანი ზოგიერთნი მისი შესანიშნავნი წარმოთქმანი:

ღასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა. შთაგრესია — სიბრძნე: მოიგე სიბრძნე და მოიპოვე მეცნიერება, ნუ დაივიწყებ, ნურცა დაუტევებ მას, და დავიცვას შენ. ხოლო სიბრძნე და სწავლება არა წმიდათა შეურაცყონ.



სიბრძნითა აღშენდების სახლი და გულის ხმის ყოფითა წარემართების.

სულსა ბოროტ-ხელოვანსა შინა არა შევიდეს სიბრძნე, არცა დაემკვიდროს ხორცსა შინა თანამდებსა ცოდვათასა.

მოპოვება სიბრძნისა და გონებისა ბევრად უმჯობესია, ვინემ შეძენა ოქროისა და ვერცხლისა.

ბაგენი მართალნი სწრვთიან სიბრძნესა, ხოლო ენა უსამართლიოსა წარწყმენდს.

ბრძენი იშიშვის და განეშორების ბოროტისაგან, ხოლო სულელი ცხარობს და იმედოვნებს.

პრის ოქრო და მრავალი მარგალიტი, მაგრამ ყველაზე უძვირფასესი სამკაულია ბაგე-ბრძენთა.

ბრძენი შვილი ახარებს მამასა, ხოლო შვილი უგნური მწუხარებაა დედისა!

ბრძენი ცოლი აღაშენებს თვის სახლსა, ხოლო სულელი დაარღვევს მას თავის ხელით.

დაახლოვებული ბრძენთათანა — თვით ბრძენი შეიქნება, ხოლო ვინც ემაგობრება სულელთა, განირყვნება.

შპატიო მყოფელი მამისა და განმგდებელი დედისა თვისისა მიიღებს სირცხვილსა და ყვედრებასა.

ძვირის მეტყველსა მამისასა ანუ დედისასა დაუშრტეს ლამპარი, ხოლო გუგა თვალისა მისისა იხილავს ბნელსა.

ვინც ჰპარავს თავის დედ-მამას, ის თანამოზიარეა მცარცველთა თანა.

თავის მამის დამცინველ თვალს და დედის მორჩილების ამგდებს გამოჰკეკს ყვაფი და შესქამენ არწივის ბარტყნი:

სულელი შვილი დამაღონებელია მამისა თვისისა და მწუხარებაა დედისა თვისისა.

ბვირგვინია მოხუცებულთა შვილის შვილნი, ხოლო დიდება შვილთა მშობელნი მათნი.

ღედა კაცი მადლიანი აღუდგინებს დიდებასა ქმარსა, ხოლო საყდარი არს გინებისა ღედა-კაცი, რომელსა სძულს სიმართლე.



ღელა-კაცი მხნე გვირგვინი არის ქმრისა თვისისა, ხოლო უბატური -- მზგავსია მყრალი ძვალისა.

შმჯობესია ყოფა ყურესა შინა სართულისასა, ვიდრელა სახლსა შინა საერთოსა დელა კაცისათანა მაგინებელისა, უმჯობესია ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბნოსა, ვიდრელა ცხოვრება დელა-კაცისათანა ყბედისა და მრისხანისა.

სილამაზე სახისა — მატყუარია, სიმშვენიერე — ამოცებაა, გარნა ცოლი ღვთის მოშიში ღირსია ქებისა.

რომელმან ჰპოვოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ. რომელი განაგდებს ცოლსა კეთილსა, ის ჰშორდება თავის ბედნიერებას, ხოლო ვისაცა ჰყავს შინ მემრუშე — ის უგუნურია და არაწმიდა.

ღაუცხრომელი წვეთი წვიმისა და კაპასი ცოლი — თანას წორი არიან.

ზვირგვინი ღიდებისა — სიჭალარეა, რომელიც არის დამღვარი მართალსა გზასა ზელა.

ნუ შეანძრევ ძველსა სამნებსა და ობოლთა ადგილს ნუ გადასცილდები, რამეთუ მათი მფარველი ძლიერი არის, იგი გამოგესარჩლება შენ.

ნუ იქნები მტაცებელი საწყალთა და ნუ შეაწუხებ უბედურთა, ვინაიდგან უფალი გამოგესარჩლება საქმეთა მათათვის და წარიტაცებს სულ მტაცებელთა მათთასა.

ნუ განიზრახავ ბოროტს წინააღდეგ მართლისა, რამეთუ შვიდ გზის დაეცეს მართალი და აღდგეს, ხოლო არა წმიდანი მოუძღურდენ ბოროტთა შინა.

ღაცვა სიმართლისა და მართალ მსაჯულებისა უმეტესად სათნო არის ღვთისათვის, ვინემ მსხვერპლი. შინც ავიწროებს საწყალთა, ის განარისხებს შემოქმედსა მისსა; ვინც ითვალწუნებს მოყვასსა თვისსა, ის სცოდავს; ვინც მოწყალეა საწყალთადმი, ის ნეტარია.

მსხვერპლი არა წმიდათა საძაგელ წინაშე უფლისა, ხოლო ღოცვა მართალთა სათნოა მისთვის.



შორს არს უფალი უკეთურთაგან, ხოლო ლოცვასა მართლისასა ისმენს.

უმჯობესია ცოტა სიმართლითა, ვინემ მრავალი მოგება უმართლოებითა.

ხსენება მართლისა კურთხეულ იქმნების, ხოლო სახელი არა წმიდათა ბილწ იქმნების.

ბუღ-ცხარი კაცი სისულელეს ჩაიდენს, გარნა კაცი, რომელიც განგებ ბოროტებს, საძულველია.

უმართლო სსწორი და საზომი საძაგელია ლეთის წინაშე.

მინც ეძიებს ბოროტსა, მას კიდევ ემთხვევა იგი. მინც სიკეთისათვის ბოროტით უხდის, მის სახლს არ მოშორდება ბოროტება.

ძეთილი სახელი უმჯობესია მრავალი სიმდიდრისა და კეთილი დიდება — უმჯობესია ვერცხლისა და ოქროისა.

რომელიც უთხრის ორმოს მოყვასსა თვისსა, თვით შთაუარდეს მას შინა და რომელიც აგორებდეს ლოდსა, აგორებდეს თავისა თვისისათვის.

ნუ ეშურები ბოროტ-კაცთა და ნუ გსურს მათთან ყოფნა; ნუ ჯავრობ ბოროტთა ზედა და ნუ რას გშურის არაწმიდათა; ნუ გიხარის, როდესაც დაეცეს მტერი შენი და ნუ მხიარულებ, როდესაც წაბორძიკდეს იგი.

შველაფერზედ მეტად დაიცივ შენი გული; განაგდე შენიდგან სიცრუე და ბოროტება ენისა განაშორე შენგან; თვალები შენი იხედებოდეს წინაშე შენსა.

მოწყალებამ და ქვემარტებამ არა დაგტოვოს შენ; შამოიხვიე იგინი კისერსა ზედა და დასწერე იგი შენი გულის ფიცარზე.

ბეშინოდეს ლეთისა და მცნებანი მისი დაიცივ; რამეთუ მას შინა არის ყოველივე კაცისათვის.

სული უფლისა აღავსებს ქვეყანასა და, ვითარცა ყოვლის აღვსებელმან, იცის ყოველივე სიტყვა; ამისათვის უმართლოების მთქმელი არა დაიმაღვის და ვერ განერავს ლეთის სასჯელს.

უმჯობესია მცირედი ქონება შიშითა უფლისათა,



ვიდრელა მრავალი სიმდიდრე და მასთან შფოთი. **შეჯობესია** ერთი თევში მწვანელი და მასთან სიყვარულობა, ვინემ გასუქებული ხარი და მასთან შურიანობა.

**შეჯობესია** ნამუსრევი ხმელი პურისა და მასთან მშვიდობა, ვიდრელა სახლი გავსილი ცხოველებით და მასთან განხეთქილება.

**როდესაც** მისცე ღმერთს აღთქმა, დაუყონებლივ აღასრულებ იგი: **უმჯობესია** არა აღთქმა, ვიდრე აღთქმა და არ ასრულება.

**შინც** გასცემს მოწყალებას, ის ვალად სდებს უფალსა და ის მიანიჭებს მას კეთილის ყოფისათვის.

**ნუ** უარ ჰყოფ გაჭირებულთა დახმარებასა, ვიდრემდის შენი ხელი შემძლეა ამისა.

**რომელმანც** დაიყრუოს ყურნი არა სმენად უძღურისა, მასაც არ გაუგონებენ.

**თუ** მშიერ არს მტერი შენი, განაძღე ის; და თუ სწყურის, ასმევდე მას.

**სიმძულვარე** აღძრავს განხეთქილებას, გარნა სიყვარული ჰფარავს ცოდვათა სრულიად.

**ზოგიერთი** უქმად მოლაპარაკე მოსწყლავს ვითარცა მახვილი, ხოლო ენა ბრძენთა, მკურნალ არს.

**წყნარი** პასუხი გარე მიაქცევს რისხვასა, ხოლო შემადრწუნებელი სიტყვა აღძრავს სისასტიკეს.

**პატიოსნებაა** კაცისათვის განშორება ჩხუბისაგან, ხოლო ყოველი უგნური მოყვარეა შფოთისა.

**სულგრძელობა** უმჯობესია მამაცობისა და ვინც თავის თავი დაიმორჩილა, ის უძლიერესია ქალაქის ამღებზე.

**სხვათა** შეცდომების მოთმინებით მიიღება სწორედ დიდება, კაცისა.

**რომელიც** დაიცვამს პირსა და ენასა თვისსა, იგი იცავს სულსა თვისსა უბედურებისაგან.

**მომთმენსა** კაცსა აქვს დიდი გონება, ხოლო გულფიცხი მალე გამოიჩენს სისულელეს.

**ბულ** ცხარი კაცი აღძრავს უთანხმოებას, ხოლო მომთმენი დააწყნარებს ჩხუბსა.



ბევრის მოლაპარაკეს არ ასცილდების ცოდვა, ხოლო ცოტას მოლაპარაკე კეთილ გონიერია.

უგნურს კაცს მალე შეემჩნევა გულმოსულობა, ხოლო ჭკვიანი შეურაცხებას დიდხანს დაიფარავს გულში

მისაც უყვარს ღვინის სმა, ის თავის სახლს დასტოვებს უბედურად.

მისაც უყვარს ღვინი, იგი გაღარიბდება, ხოლო რომელსაც უყვარს ღვინო და მთავრალობა, ის უგნურია.

მინც ღვინის სმაში ჰკარგავს ღროს, იგი უპატიოთ დასტოვებს თავის ოჯახს.

ნუ შეუერთდები მემთვრალეთა. მის სახლშია ყვირილი? ვის სახლშია კვნესა, მწუხარება და ვაება? მინ არის დაჭრილი უმიზეზოთ, ვის აქვს დალურჯებული და გაწითლებული თვალები?—მათ, ვინც შინ ნიადაგ ქეიფს და ღვინის სმას ეწევიან.

მისაც მზიარული გული აქვს, იგი ყოველთვის ნადიმობაშია. ხალისიანი გული პირსაც ახალისებს; ხოლო გულის მწუხარების ღროს სულიც კვნესის.

სასიამუნო სიტყვა თაფლის ფიჭა არის, ტკბილია გულისათვის და სამკურნალო ძვალთათვის.

ხან-და-ხან სიცილის ღროსაც კვნესის გული, დასასრული სიხარულისა ხშირად მწუხარებაა.

რაც ჩრჩილია ტანისამოსისათვის და ჭია ხისათვის, ისეა მწუხარება კაცის გულისათვის.

დიდხანს აუსრულებელი მოლოდება, გულს აწუხებს, ხოლო აღსრულებული სურვილი ხეცხოვრებისა არის.

საძაგელია ღვთის წინაშე ყოველი ამაყი გულის პატრონი, დარ მუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგინი არ დარჩებიან დაუსჯელად.

შეჯობესია შეხვდე ბელეზ დაკარგულ მგელს, ვინემ უგნურს და სულელს.

სულელიც ჭკუიანად გეჩვენება, როდესაც გაჩუმებულია.

ნუ გასცემ პასუხს სისულელეზე უგნურს, რომ შენც არ დაემზგავსო მას.

სულელთ სიცილია ემზგავსება სანათების ტკიცინს ცეცხლზე.

ლამაზი ქალი, მაგრამ უგნური, ემზგავსება ღორს, რომელსაც ცხვირზე ოქროს ბეჭედი ჰკიდია.

სიტყვანი მამუზღარისა, როგორც გემრიელი საქმელი, ისე მიიღებიან.



სადაც შეშა გამოილევა, ცეცხლი დაიქრობა, სადაც ჩუმი მახეზლარნი არ არიან, იქ განხეთქილება მოსპობილია.

ძალღს იჭერს ყურებით ის, ვინც თავისთვის მიდის, მაგრამ სხვის ჩხუბში ერევა.

სწორედ უროს მჭრელი იარაღის და ნასროლი ტყვიის მზგავსია ის კაცი, რომელი სიცრუეს მო<sup>1</sup> მობს თავის მოყვასზედ.

როგორც ბელურა გაფრინდება, როგორც მერცხალი წავა თავის დროზედ, ისე აშორდება კაცს უჯერო წყევა.

ნუ ზრუნავ სიმდიდრის შეძენისათვის; როგორც შეხედავ თუ არა სიმდიდრეს, აღარ გეჩვენება: ის გამოიხსამს ფრთებს და ცაში გაფრინდება.

შეჯობესია ლარიბი, დამდგარი სიმართლეზე, ვინემ მდიდარი ცრუ ბავითა.

ნუ გიყვარს ძილი, რომ არ გაღარიბდე; ნიადაგ გქონდეს თვალი გახელილი და ყოველთვის მაძღარი იქნები პურიითა.

დაუდევნელი და მცონარე -- ძმობილია მფლანგავისა. სიხარბეს ორი ასული ჰყავს, რომელთაც ჰქვიან: მომეცი! მომეცი!

ზარმაცი ხელი კაცს გააღარიბებს და ბეჯითი გაამდიდრებს. წადი და ნახე, ზარმაცო, ჰიანჰველა, დაუკვირდი მის მოქმედებას და ისწავლე ჰკუა.

წადი და ნახე ფუტკარი და შეიტყვე, თუ როგორი შრომის მოყვარეა; ამისთვის არის ის შეყვარებული და სანაქებოა ყველასაგან, თუმცა ღონით სუსტია.

ნუ ხარ თავ მომწონე ხვალითა, ამისთვის რომ არ იცი, რას შობს ხვალის დღე.

დაეგაქებდეს შენ სხვა ლ არა შენი პირი; სხვის ენა ლ არა შენი.

ნუ უგდებ ყურს მაცდუნებელი ქალის სიტყვებს, ვინაიდგან მისი პირიდგან თაფლივით ტკბილი სიტყვები გამოითქმიან, მაგრამ ბოლოს გამწარდებიან, აბზინდა ბალახის მზგავსად ლ მჭრელნი შეიქმნებიან ორ პირი დანის მზგავსად.

შველასა და ყოველიფერს აქვს თავისი დრო ცასა ქვეშე.



2  
♡ 206

1773/057  
3-

ფასი ერთი შაური.